საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეკონომიკური პროგნოზირება

ეკონომიკური პროგნოზირება, ეკონომიკური განვითარების სამომავლო მეცნიერულ შეხედულებათა სისტემისა და წინადადებების შემუშავება. ე. პ. ხორციელდება საპროგნოზო ობიექტის შესახებ წარსულის ამსახველი ინფორმაციის დამუშავებისა და მისი ფუნქციონირების კანონზომიერებათა გამოვლენის საფუძველზე. ე. პ-ის ძირითადი ფუნქციებია: ეკონ. და მეცნ.-ტექ. პროცესებისა და ტენდენციების მეცნ. ანალიზი; ეკონ. განვითარების საკვანძო პრობლემების და მიზეზშედეგობრივი კავშირების გამოვლენა; მომავალში ამ ტენდენციების შეფასება; იმ აქტუალური ეკონ. პრობლემებისა და წინააღმდეგობების განჭვრეტა, რ-ებიც საჭიროებენ გადაჭრას; სამომავლო ეკონ. განვითარების ალტერნატიული ვარიანტების განსაზღვრა და მათი შეფასება. ე. პ. შეიძლება იყოს მოკლევადიანი (3 წლამდე), საშუალოვადიანი (3–5 წ.) და გრძელვადიანი (5 წ-ზე მეტი). ე. პ-ის შემუშავებაში არსებობს ორი ძირითადი მეთოდოლ. მიდგომა: გ ე ნ ე ტ ი კ უ რ ი – მოითხოვს ეკონ. განვითარების შეფასებას მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენის საფუძველზე, რ-ის საშუალებითაც განისაზღვრება ეკონ. პროცესების განვითარების ლოგიკა მომავალში, და მ ი ზ ნ ო ბ რ ი ვ - ნ ო რ მ ა ტ ი უ ლ ი – ე. პ-ის შემუშავება ხდება წინასწარ განსაზღვრული მიზნებისა და დადგენილი პარამეტრების გამოყენებით. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ე. პ-ს საფუძველი ჩაეყარა XX ს. 60-იან წწ-ში. ამ დროიდან საქ. სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში მუშავდებოდა ქვეყნის ეკონ. და სოც. განვითარების გრძელვადიანი პროგნოზები, რ-ებსაც იყენებდნენ კომპლ. სახელმწ. გეგმების შესადგენად. საქართვ. საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების პროგნოზულ სქემას ადგენდა საქართვ. მეცნიერებათა აკად. პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისია. ე. პ-ის თეორ.-მეთოდოლ. და გამოყენებით პრობლემებზე სამეცნ. კვლევები მიმდინარეობდა საქართვ. სახელმწ. საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონ. და დაგეგმვის და საქართვ. მეცნ. აკად. ეკონ. და სამართლის ინ-ტებში, დარგობრივ ინ-ტებსა და გამოთვლით ცენტრებში. ე. პ-ის

თეორ. და პრაქტ. პრობლემების კვლევაში, განსაკუთრებით ე. პ-ის ექსტრაპოლაციის, ექსპერტული შეფასებების და მათ. მოდელირების მეთოდების დანერგვაში მნიშვნელოვანი მეცნ. წვლილი შეიტანეს ქართველმა მეცნიერებმა: პ. გუგუშვილმა, ი. მიქელაძემ, ვ. მელქაძემ, მ. კეკელიძემ ნ. სანთელაძემ, თ. მახვილაძემ, ი. მესხიამ, კ. აჩელაშვილმა, ი. ანანიაშვილმა, ვ. პაპავამ, გ. მალაშხიამ, გ. ყუფუნიამ, ჯ. არაბიძემ, ს. სანაძემ და სხვ.

ლიტ.: მ ე ს ხ ი ა ი., ეკონომიკური ზრდის პროგნოზირების საკითხები, თბ., 1978; ს ა ნ თ ე ლ ა ძ ე ნ., სახალხო მეურნეობის გრძელვადიანი დაგეგმვა, პროგნოზები და მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები, თბ., 1980; М е с х и я Я. Е., Вопросы методологии регионального экономического прогнозирования, М., 1983; მ ი ს ი ვ ე , Теория и практика макроэкономического прогнозирования, Тб., 1989.

ი. მესხია